ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 47

9 თებერვალი, 2021 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
13:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
თ. ნიბლოშვილი, ა. ლაშხი, მ. დარჩია, გ. გოცირიძე, ვ. ძნელაძე, ე. კუხიანიძე, ვ. ოთარაშვილი, ბ. ფირცხელიანი.

საკრებულოს წევრები:
ავთანდილ ცინცაძე, ალექსანდრე ხუჯაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი ჩაკვეტაძე, ქეთევან მამულაშვილი.

მოწვეული სტუმრები:
1. ირაკლი გვილავა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. გოგი ჩიქოვანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი

სხდომის დღის წესრიგი:

1. **საკითხი:** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (წერილი: № 12-0321036116-03; 05.02.2021).

   მომხსენებელი: ბატონი ირაკლი გვილავა
   თანამდებობა: - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე ქალბატონი თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თინათინ ნიბლოშვილმა წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დამტკიცდა წევრთა მიერ.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა, ბატონმა ირაკლი გვილავამ. მისი განმარტებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დღესმომქმედი დადგენილება ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებას მათზე მინიჭებული სოციალური ქულების შესაბამისად. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმოდგენილი დადგენილების პროექტით კი, დადგენილი ზედა ზღვარი 70 000 ქულის ნაცვლად განისაზღვრება 150 000 ქულით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ ცვლილების ინიცირება პანდემიის, კოვიდ-19-ის გათვალისწინებით გადაწყვიტა, რათა გაიზარდოს ხსენებული პროგრამით მოსარგებლე ახალგაზრდების რიცხვი. ქალაქ თბილისის მერია ვარაუდობს, რომ დაახლოებით გაორმაგდება სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსდება.

ბატონი ირაკლის გვილავას ცნობით, წარმოდგენილი დადგენილების ცვლილების პროექტი ამარტივებს დაფინანსების ზოგიერთ პროცედურას. იგი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ სტუდენტებმა თავად აირჩიონ, თუ რომელი ანგარიშის ნომერზე უნდა გადარიცხოს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მოპოვებული დაფინანსება - უნივერსიტეტის, თუ მის პირად საბანკო ანგარიშზე. უნივერსიტეტის ანგარიშზე თანხის დარიცხვისას, შესაძლოა არ დაიქვითოს საშემოსავლო გადასახადისთვის განკუთვნილი 20%-ი, რაც სტუდენტებისთვის ხელსაყრელი იქნება.

ბატონმა ირაკლი გვილავამ ასევე განმარტა, რომ მოქმედი დადგენილებით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ნუსხას ემატება სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი“, რომელიც წლების განმავლობაში გაუქმებული იყო. ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერია ამ ეტაპზე დედაქალაქის ბიუჯეტის არსებული რესურსის ფარგლებში დააფინანსებს სტუდენტებს, პარალელურად, დაიწყებს დამატებით საჭირო თანხების მობილიზებას და სავარაუდოდ მიმდინარე წლის ზაფხულში, თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის ცვლილების ფარგლებში, მიმართავს მათ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამაში „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03).

კომისიის წევრი, ქალბატონი მარიკა დარჩია დაინტერესდა, თუ როგორ უნდა მიაღწიოს მოქმედ დადგენილებაში შეტანილი ცვლილებისა და დაფინანსების ახალი წესის შესახებ ინფორმაციამ სტუდენტებამდე, რომლებიც აქამდე არ სარგებლობდნენ თბილისის ბიუჯეტის ქვეპროგრამით „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“, რა გზით მოხდება ამ სიახლის გავრცელება. პასუხად ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის საკრებულოს მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შემუშავებაში მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურთან ერთად, საკონსულტაციო ფორმატში, მონაწილეობდა თბილისის რამდენიმე უნივერსიტეტის რექტორი. დადგენილების პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, თბილისის მერია ინფორმაციას გადააგზავნის უნივერსიტეტებში, რომელთა ფაკულტეტების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები პირადად ჩაერთვებიან ამგვარი ცნობების გავრცელებაში, ასევე, სტუდენტებთან უშუალო კომუნიკაცია ექნება თბილისის მერიის საინფორმაციო სამსახურსა და კანცელარიას.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ბუნებრივია, დაეხმარება თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს განხორციელებული ცვლილებების შესახებ ცნობების ფართოდ გავრცელებაში.

კომისიის წევრი ბატონი ვაჟა ოთარაშვილი დაინტერესდა, დასაფინანსებელი სტუდენტების სია უნივერსიტეტების მეშვეობით გადაეცემა თუ არა დედაქალაქის მერიას. ბატონმა ირაკლი გვილავამ განმარტა, რომ აღნიშნული სია დგება უნივერსიტეტებში, რომლებიც აკადემიური მოსწრების მიხედვით ხელმძღვანელობენ და ამ პროცესში დედაქალაქის მერია არ ერევა.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ დადგენილების პროექტი მოიცავს ორ ცალკეულ წესს, ერთი ითვალისწინებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მეორე კი, სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსებას. ბატონმა ირაკლი გვილავა ამავე საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ თბილისის მერია ერთის მხრივ, აფინანსებს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლის საფასურს, მეორეს მხრივ კი, ფინანსურად ახალისებს მაგისტრატურის წარმატებულ სტუდენტებს. მისი თქმით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N3-11 დადგენილების საფუძველზე მოქმედებს კვოტირების სისტემა, რაც გულისხმობს, რომ ამჟამად უნივერსიტეტებს მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სტუდენტთა სიების წარდგენა შეუძლია თბილისის მერიისათვის. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი კი გააუქმებს კვოტირების სისტემას და შედეგად, თბილისში რეგისტრირებული ნებისმიერი სტუდენტი, ვინც დააკმაყოფილებს დადგენილებით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, მიიღებს მერიის დახმარებას.

ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტით, იცვლება სტუდენტების თბილისში რეგისტრირების ხანგრძლივობა, რომელიც სამიდან ექვს თვემდე იზრდება, რომ ცალკეული პირები დედაქალაქში საცხოვრებლად არ ჩაეწერონ მხოლოდ სტიპენდიის მიღების მიზნით. დედაქალაქის მერია სრულად დააფინანსებს შესაბამისი კატეგორიის ყველა სტუდენტს თბილისის 2021 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამისთვის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) გამოყოფილი 1 300 000 ლარის ფარგლებში, მანამ სანამ თანხა არ ამოიწურება.

ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა აღნიშნა, რომ ხსენებული პროგრამისთვის 1 300 000 ლარი საკმარისი არ არის, მაშინ როდესაც თბილისის მერიამ მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობისთვის 4 მილიონ ლარამდე გამოყო 2021 წლის ბიუჯეტში. მანვე წამოაყენა წინადადება, რომ მაწანწალა ძაღლების მოვლა-პატრონობისთვის გამოყოფილი ასიგნებიდან 3 მილიონი ლარი გადატანილ იქნეს ბიუჯეტის ქვეპროგრამაში „სოციალურად დაუცველი სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03).

განსახილველ საკითხთან მიმართებით, კომისიის თავმჯდომარემ ქალბატონმა თინათინ ნიბლოშვილმა განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „ა“ ქვეპუნქტში სოციალურად დაუცველი სტუდენტის დეფინიციის დაზუსტებით და ცალსახად გადმოცემისთვის საჭიროა ამ პუნქტში მითითებული სასწავლო პროგრამების ჩამონათვალის ტექსტუალურად დაზუსტება, რათა ნორმატიული აქტის წამკითხველმა სწორი და სრული მნიშვნელობით გაიგოს, თუ რომელი სასწავლო პროგრამების სტუდენტებზე ვრცელდება წინამდებარე

დადგენილების მოქმედება. შესაბამისად, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის (ტერმინთა განმარტება) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ა) **სოციალურად დაუცველი სტუდენტი** - საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სოციალური მომსახურების სააგენტოს ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ამონაწერში ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მისამართად მითითებულია ქალაქი თბილისი.“

აგრეთვე აღინიშნა, რომ დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-6 მუხლის (დაფინანსების გაცემა) მე-2 პუნქტის საფუძველზე, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების სემესტრული სწავლის საფასურის დაფინანსება 100%, 70%, 50% ან 30%-ის ოდენობით, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად. თუმცა, ამავე მუხლის ბოლოს დართულ გრაფაში არ არის მითითებული, თუ რომელი პროცედურის დაცვით ხორციელდება სემესტრული სწავლის საფასურის დაფინანსება, იმ სტუდენტებისთვის, რომლებზეც 30%-იანი დაფინანსება გაიცემა. შესაბამისად, მიზანშეწონილია წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსის რედაქტირება, რათა იგი შესაბამისობაში მოვიდეს ამავე მუხლის დანართთან და ზუსტად განსაზღვროს სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების მოცულობა და პროცედურა. ამიტომ, მიზანშეწონილია დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი გაიწეროს შემდეგნაირად:

„2. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველი სტუდენტების სემესტრული სწავლის საფასურის დაფინანსება, ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.“

ხოლო, დადგენილების პროექტის დანართი 2-ის მე-6 მუხლის დანართი (ცხრილი) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

წინა სემესტრში მიღებული შეფასებების და აკადემიური ქულების საშუალო არითმეტიკული	დასაფინანსებელი თანხის ოდენობა

1	91-100 ქულა	სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, ამ წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, იმ სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 150 000-ის ტოლი ან ნაკლები.
2	71 - 90 ქულა	სემესტრული თანხის არაუმეტეს 100%, ამ წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, იმ სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არ აღემატება 70 000-ს, ხოლო სემესტრული თანხის არაუმეტეს 70%, იმ სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ არის 70 000-ზე მეტი და 150 000-ზე ნაკლები ან 150 000-ის ტოლი.
	51 – 70 ქულა	სემესტრული თანხის არაუმეტეს 50%, ამ წესის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, იმ სტუდენტებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ტოლია ან ნაკლებია 150 000 -ის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დადებითად შეფასებისა და მისი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გადაცემის შესახებ კომისიის მიერ ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მომხრე ---------- 7
წინააღმდეგი ---------- 1
თავი შეიკავა ---------- 1 (კომისიის წევრმა, ბატონმა ვაჟა ოთარაშვილმა)

განათლებისა და კულტურის კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: კომისია დადებითად აფასებს წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მხარს უჭერს მის გატანას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად კომისიის მიერ ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:
ირაკლი გვილავამ, თინათინ ნიბლოშვილმა, მარიკა დარჩიამ, ვაჟა ოთარაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:
თინათინ ნიბლოშვილი